MES 9 23 0001498719

06/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნიაგრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლა:**
ზეინაბ გოგიაშვილი - სკოლის წარმომადგენელი

2. **სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა:**
ინეზა ციხიშვილი - სკოლის წარმომადგენელი

3. **სსიპ - ქალაქ თბილისის №149 საჯარო სკოლა:**
ნანა მიქავა - სკოლის წარმომადგენელი

4. **სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯაროსკოლა:**
შორენა მჭედლიძე - სკოლის წარმომადგენელი

5. **სსიპ - ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლა:**
მანანა სონგულია - სკოლის წარმომადგენელი

6. **სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯაროსკოლა**
ლია ელიაშვილი - სკოლის წარმომადგენელი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტე ბი):

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლა:

ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ვლადიმერ ბერუაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა:

ა) ნონა ჩუბინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა ცუცქირიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №149 საჯარო სკოლა:

ა) თამარ ხატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ჩხიკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლალი ნადირაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ბალხამიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯარო სკოლა:

ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია მერაბიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათელა ბასილია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლა:

ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მზიანა ხორავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაყვალა გრძელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინა თავართქილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლა:

ა) მაკა კანდელაკი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ ჭყონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ალა სანამიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე - 17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 23 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე- 20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის №149 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, კერძოდ, დღის წესრიგს დამატებოდა შემდეგი საკითხი: 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის პირველ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ, საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
წარმოდგენილი შუამდგომლობების გათვალისწინებით, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის პირველ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის №149 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის პირველ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის პირველი ნაწილის დანართში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, შპს აითი აკადემია სტეპის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების გრაფაში ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ნაცვლად დაფიქსირებული უნდა იყოს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ზემოაღნიშნული ოქმის პირველ ნაწილში.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის პირველი ნაწილის დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის პირველ ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი N 34 - N 34ბ; ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44.
2	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი N 34 - N 34ბ; ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44.

2. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ენაგეთში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 60 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოხოვნებს“, სტანდარტი მესამე შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.3, 3.4 და 3.6 კი, შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტი 2.2 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, ყურადღება გაამახვილა მეორე სტანდარტთან დაკავშირებით და ექსპერტებს მიმართა თხოვნით გაეზიარებინათ მოსაზრება კურიკულუმებთან დაკავშირებით. უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, ინგა გოგალაძემ, აღნიშნა, რომ თავდაპირველად მოწოდებულ მასალებში ფიქსირდებოდა გარკვეული ხარვეზები, ექსპერტისგან მიღებული რეკომენდაციების შედეგად სკოლის მასწავლებლების მხრიდან მოხდა აღნიშნული ხარვეზების გარკვეულწილად გამოსწორება და დოკუმენტაციის წარმოდგენა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მან დამატებით გასცა რეკომენდაციები, რომელებიც მასწავლებლებს სასწავლო პროცესების დაწყებამდე უნდა გაეთვალისწინებინათ.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლას ამ დროისთვის ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტების შემუშავებაზემუშაობა დაწყებული. სკოლის წარმომადგენელმა, ზეინაბ გოგიაშვილმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული მიმართულებებით სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა. აქვე სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნასთან დაკავშირებით გაგზავნილი იყო წერილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, საიდანაც სკოლა ელოდებოდა რეაგირებას.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა სკოლაში ესთეტიკური საგნების და სამოქალაქო განათლების ფარგლებში კომპლექსური დავალებების საკითხით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ლელა კაკაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა პროექტები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები და ამ დავალებების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები. აღნიშნული გაიზიარა ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა მადონა ბობოხიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, , მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლას (ს/კ : 230867167) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ენაგეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ენაგეთი

საბჭომ 2.2, 3.3, 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2023 წლის დეკემბრამდე ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო 2025 წლის ოქტომბრამდე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

3. **სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნონა ჩუბინიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჟებოტაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი პირველი, მეორე და მეოთხე შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, სტანდარტი მესამე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტში კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ნონა ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, ყურადღება გაამახვილა ადაპტირებულ გარემოზე და ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენი სსსმ მოსწავლე ირიცხებოდა მოცემული დროისთვის სკოლაში. ექსპერტმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში ირიცხებოდა 3 სსსმ მოსწავლე და არცერთი იყო ეტლით მოსარგებლე.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რამდენად დიდი წიგნადი ფონდი ჰქონდა სკოლას და როგორ ხდებოდა ამ დრომდე წიგნების გაცემისა და დაბრუნების აღრიცხვა. სკოლის წარმომადგენელმა, ინეზა ციხიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლაში სახელმძღვანელოების ჩათვლით დაახლოებით 7000- მდე წიგნი იყო. სკოლაში შეუფერხებლად მიმდინარეობდა წიგნების გაცემისა და ჩაბარების აღრიცხვა, თუმცა არა სტანდარტების შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ სკოლას მუშაობა დაწყებული ჰქონდა ამ კუთხით და სამუშაოების დასრულება დაგეგმილი იყო 2023 წლის დასრულებამდე.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა სკოლაში განხორციელებული პროექტებით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის სათემო პროექტები. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით გასულ სასწავლო წელს მეათე კლასში რა სახის პროექტები იყო განხორციელებული. სკოლის წარმომადგენელმა, ინეზა ციხიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლაში ცხოველების დაცვის მიზნით განხორციელებული იყო პროექტი სახელწოდებით „მე მიყვარს ჩემი ბუნება“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა მოახდინეს ადგილობრივი თემის ინფორმირება. პროექტმა საზოგადოების მხრიდ დადებითი გამოხმაურება გამოიწვია.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა საბუნებისმეტყველო საგნებთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილა სკოლაში განხორციელებულ კვლევებზე.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში არ ჰქონდათ შესაბამისი ლაბორატორია და აღჭურვილობა. სკოლის პედაგოგები მუშაობდნენ ვირტუალური ლაბორატორიით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მანანა ცუცქირიძემ, აღნიშნა, რომ პედაგოგებთან გასაუბრების დროს ექსპერტებისთვის ცნობილი გახდა, რომ მოსწავლეები სხვადასხვა პროექტების ფარგლებში საკუთარი ხელით ამზადებენ სხვადასხვა სახის

რესურსებს. ექსპერტის განცხადებით სკოლაში დაგეგმილი იყო საბუნებისმეტყველო კლუბის შექმნა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებზე და შესაბამის საგნობრივ ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო თედორაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას გადმოგზავნილი არ ჰქონდა კომპლექსური დავალებები, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო წლისთვის კომპლექსური დავალებების დაგეგმვა მოხდა გასულ სასწავლო წელს განხორციელებული აქტივობებისა და პროექტების გადახედვითა და გათვალისწინებით.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, , მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლას (ს/კ : 232387654) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჟებოტა

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჟებოტა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჟებოტა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, უფლებამოსილ პირთან/ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის და ადაპტირებული გარემოს შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ხოლო 4.2 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია, 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრის ინფორმირება რესურს ოთახის მოწყობის შესახებ.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის №149 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №149 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, თემქა, XI მ/რ. III კვარტალი. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1200 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტში კომპონენტი 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა სკოლის პირველ სართულზე განთავსებული სპორტული დარბაზისა და ეზოს კეთილმოწყობა.

ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა, სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციასთან და ახორციელებდა მრავალფეროვან პროექტებს. ექსპერტის განცხადებით სკოლას საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელი ჰქონდა პროექტი სახელწოდებით „სასკოლო არქეოლოგია“. ასევე, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა პროფესიულ კოლეჯებთან. კურსების ფარგლებში მოსწავლეები საკუთარი ხელით ქმნიდნენ სკოლისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა რესურსს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ყურადღება გაამახვილა კურიკულუმებზე და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებს შორის არ იყო საბაზო საფეხურის სამოქალაქო განათლების კურიკულუმი. საბჭოს წევრმა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს სთხოვა კომენტარის გაკეთება აღნიშნულთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები თავდაპირველ ეტაპზე არ იყო სრულად და ფიქსირდებოდა რიგი ხარვეზები. ექსპერტის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა შესწორებული მასალა.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, აღნიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ფიქსირდებოდა რიგი ხარვეზები და ხშირ შემთხვევაში კურიკულუმებს აკლდა მნიშვნელოვანი ნაწილი. საბჭოს წევრმა მათემატიკის ექსპერტს მიმართა კითხვით, რა სახის რჩევები მისცა სკოლის პედაგოგებს აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა, ნანა მიქავამ, აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაუყოვნებლივ მოხდა რეკომენდაციების გათვალისწინება. მისი განცხადებით სკოლა სასწავლო წელს დამტკიცებული საგნობრივი კურიკულუმებით შეხვდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №149 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №149 საჯარო სკოლის (ს/კ : 200007875) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, თემქა, XI მ/რ. III კვარტალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, თემქა, XI მ/რ. III კვარტალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, თემქა, XI მ/რ. III კვარტალი

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. **სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი ს განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებმა, ქეთევან ნატროშვილმა და ზვიად გოგუაძემ განაცხადეს, რომ ისინი ვერ მიიღებდნენ აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ხაშურის მუნიციპალიტეტ, სოფელ სატივეში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 90 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90 მოსწავლისთვის.
ექსპერტის, მანანა ალიბეგაშვილის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტის, მანანა ალიბეგაშვილის, განცხადებით სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რომელიც არ იყო შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ასევე ბოლომდე არ იყო შესრულებული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აქტში მითითებული ნორმები. სკოლამ შესაბამისობის გეგმის

ფარგლებში წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ ამ გეგმის შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი. გაცემული რეკომენდაციების თანახმად სკოლამ კომპონენტის შესაბამისობა უნდა უზრუნველყოს კიბის უჯრედის გათავისუფლება სხვადასხვა ინვენტარისგან, რომელიც შესრულდება 2023 წლის 1 ოქტომბრამდე. თანამშრომელთა სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ, ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით შესრულდება 2024 წლის 1 იანვრამდე. სკოლის ეზოში წყლის რეზერვუარის მოწყობა, საპირფარეშოების შემოტანა სკოლის შენობაში. სკოლის შენობის გაზიფიცირება ცენტრალური გათბობის დამონტაჟება 2024 წლის 1 სექტემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა რომ სკოლას გაზიფიცირებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ჰქონდა ზუსტი თარიღი. კითხით მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაწყებული ჰქონდა თუ არა გაზიფიცირების პროცესი. სკოლის წარმომადგენელმა, შორენა მჭედლიძემ, განაცხადა რომ ეს პროცესები დაწყებული იყო Covid-პანდემიამდეც , თუმცა პანდემიამ სხვა საჭიროებები გახადა პრიორიტეტული. სკოლას ჰქონდა მიწერილობა მუცინიპალიტეტთან და მათგან დაპირება იყო, რომ ახლო პერიოდში მოხდებოდა ამ საკითხის მოგვარება.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა რომ მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტით გათვალისწინებული დოკუმენტაცი, კერძოდ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უკვე შეთანხმებულია და გადმოგზავნილია ცენტრში.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა რომ მეორე სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა შეიმჩნეოდა გარკვეული გასაუმჯობესებელი საკითხები, მან სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ გასცეს თუ არა ზეპირსიტყვიერი რჩევები ამ მიმართულები. ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, განაცხადა რომ ექსპერტთა ჯგუფმა რიგ საკითხებზე გასცა სიტყვიერი რეკომენდაცია ვინაიდან ადგილზევე ხდებოდა მასწვალებლების მხრიდან მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება და ხარვეზების გამოსწორება. უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, ნათელა ბასილაიამ, ასევე დაადასტურა რომ რჩევები გაცემული იყო ადგილზე კურიკულუმებთან დაკავშირებით, რომელებიც გამოსწორდა და რედაქტირებული ვარიანტი მიეწოდათ ექსპერტებს ვიზიტის მიმდინარეობისას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ბექა კვაჭაძემ, განაცხადა რომ გასაუბრებისას გამოიკვეთა მასწავლებლების ჩართულობა მესამე თაობის სასწავლო გეგმასთან მიმართებით, ვინაიდან ისინი ფლობდნენ ყველა საჭირო და აუცილებელ დეტალს. რაც შეეხებოდა რჩევებს, გაცემული იყო კურიკულუმის ჩარჩოს დახვეწასა და დასრულებასთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი, მაია მერაბიშვილი, დაეთანხმა ექსპერტების განცხადებებს და აღნიშნა რომ ექსპერტები ადგილზევე გასცემდნენ რეკომენდაციებს და რიგ შემთხვევაში ასახეს დასკვნაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა შესაბამისად, სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯარო სკოლას (ს/კ: 243875188) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხაშურის მუნუცუპალიტეტი, სოფელი სატივე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხაშურის მუნუცუპალიტეტი, სოფელი სატივე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხაშურის მუნუცუპალიტეტი, სოფელი სატივე

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, დატოვა საბჭოს სხდომა 17:55 საათზე.

6. **სსიპ - ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 აგვისტოს და 01 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ წალენჯიხაში, ზ. გამსახურდიას №1-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 500 მოსწავლეს.

ექსპერტის, ირინა დვალის, განცხადებით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სპორტის ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა რა რჩევა იყო გაცემული სპორტის კურიკულუმთან დაკავშირებით.

სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა, ქეთევან ქობალიამ, აღნიშნა რომ მან სკოლას მისცა რჩევა, მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში თემა ,,ტანვარჯიში” შეცვლილიყო თემით ,,ტანვარჯიშის ელემენტები”.

სპორტის საგნობრივი ექსპერტის, ქეთევან ქობალიას, განცხადებით სკოლის სპორტული დარბაზი საჭიროებდა რეაილიტაციას, თუმცა სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებსა და კონკურსებში, სადაც მოსწავლეები წარმატებას აღწევდნენ. სკოლის წარმომადგენელმა, მანანა სონგულიამ, სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით აღნიშნა რომ ახლო მომავალში დაიწყებოდა მისი სრული რეაბილიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 242735821) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი წალენჯიხა, ზ. გამსახურდიას №1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი წალენჯიხა, ზ. გამსახურდიას №1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი წალენჯიხა, ზ. გამსახურდიას №1

საბჭომ 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

7. **სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა კანდელაკმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 200 მოსწავლეს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლაში არაფორმალური განათლების მაღალი წილი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების შესაბამისი აქტივობები - საინტერესოს და მიმზიდველს ხდიდა სასწავლო პროცესს. სკოლაში არსებული ორგანიზაციული კულტურა და თანამშრომლობითი პროცესები შეჯერებული, გაზიარებული და სკოლის საჭიროებებზე იყო მორგებული. სკოლაში იგრძნობოდა გუნდური მუშაობის კვალი. სკოლა ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა გარე შესაძლებლობები და პროექტები განვითარებისთვის. მასწავლებლები იღებდნენ სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობას, მათ შორის იყო საერთაშორისო კონფერენციები - ათენში, ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში და სხვა.

ექსპერტის, მაკა კანდელაკის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტი 1.2 კი შეფასდა მეტწილად შესაბამისად. მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტენტები 3.4, და 3.6 კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართ სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა რა ეტაპზე იყო მესამე სტანდარდთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოგვარების საკითხი.
სკოლის წარმომადგენელმა, ლია ელიაშვილმა, განაცხადა, რომ 2022 წლის 19 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით და სკოლამ მიიღო დასკვნა რომელშიც ასახული ხარვეზების ნაწილიც უკვე გამოსწორდა, მაგალითად სკოლამ უზრუნველყო წყლის რეზერვუარის შეკეთება და შიდა კიბის დამონტაჟება, სკოლას ფაქტობრივად დარჩენილი ჰქონდა ორი საკითხის მოგვარება, როგორიც იყო ავარიული განათება და ხანძარსაწინააღმდეგო სითხით სხვენის დამუშავება, რაზეც უკვე ჰქონდათ მიწერილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯაროსკოლას(ს/კ: 240891237) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ურბნისი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ურბნისი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ურბნისი

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:25 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა